



ადმონსავლეთის ჰარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

### მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 27 თებერვალი, 2013 წელი

დრო: 17:00 – 19:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

#### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. შალვა ამირეჯიბი - გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე
2. მათა ბითაძე - გარემოს დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
3. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
4. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
5. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
6. ნუგზარ სულამანიძე - კავშირის "ეკოტექი"
7. თამაზ მარსაგიშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
8. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
9. გიორგი აბულაშვილი - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
10. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
11. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
12. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
13. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
14. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
15. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
16. არჩილ მამათელაშვილი - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პოლიტიკის ანალიზის ცენტრი

17. ნინო ჯოჯუა - ასოციაცია და რადიო "მწვანე ტალღა"
18. ლია მეგრელიძე - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის

### განსახილველი საკითხები

1. საკანონმდებლო ცვლილებები გარემოსდაცვით კანონმდებლობაში
2. ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურულ რეფორმებზე
3. ინფორმაცია „საქართველოს მთავრობას, „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედ“ , შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“, შპს „ენერგოტრანსსა“ და შპს „ელექტრო სისტემების კომერციულ ოპერატორს“ შორის მომუშავე შეთანხმებაზე“ მომუშავე ჯგუფების შედეგებზე
4. ჰიდრო მონიტორინგის საკითხებზე საქართველოში შექმნილი სიტუაცია
5. 14 მარტს დაგეგმილი ღონისძიებება
6. სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები და ინფორმაციები

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგი. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის ინიციატივით, დღის წესრიგის 6 პუნქტს განსახილველად დაემატა არასამთავრობო ორგანიზაციების კოოპერაციის/პარტნიორობის პრობლემები კოალიციურ პროექტებში და მათი გადაჭრის გზები. თანაკოორდინატორის თხოვნით, დღის წესრიგის 4 საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგ შეხვედრამდე.

შეხვედრის პირველ ნაწილში გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია გარემოსდაცვით კანონმდებლობაში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და სამინისტროს სტრუქტურული რეფორმების შესახებ. მინისტრის მოადგილის თქმით, 2011-2012 წლებში საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სფეროების გარკვეული ნაწილი, რომლებიც მანამდე იყო გარემოს დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებაში, გადავიდა ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში. გარემოს დაცვის სამინისტროს ჩამოერთვა ინსპექტირების უფლება და საგამომიებო ფუნქციები. ენერგეტიკის სამინისტროში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) ბუნებრივი რესურსების სააგენტო, რომელსაც დაევა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხის მართვა, რეგულირება და კონტროლის მექანიზმები. მოხდა რესტრუქტურისაც, დრამატულად შემცირდა საინსპექციო ორგანოებში ადამიანური რესურსი და დაფინანსება,

რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია თვითონ სფეროს დაკნინება. დაიწყო უკანონო ქრები და ბრაკონიერობა.

მთავრობის შეცვლასთან ერთად შეიცვალა პრიორიტეტები. გარემოს დაცვა გამოცხადდა ახალი მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად და გადაწყდა, რომ აუცილებელია გარემოს დაცვის საკითხებისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ერთიანი სახელმწიფო მართვა. შესაბამისად, სამინისტროს სტრუქტურულად და ფინანსურად გასაძლიერებლად დადგა იმის საჭიროება, რომ ზემოთ დასახელებული სფეროები კვლავ დაბრუნებულიყო გარემოს დაცვის სამინისტროში. მინისტრის მოადგილის თქმით, შარშანდელთან შედარებით დახლოებით 34 პროცენტით გაიზრდება სამინისტროს ბიუჯეტი. ბიუჯეტთან ერთად იზდება სამინისტროს საშტატო რაოდენობები, 200 ადამიანით იზრდება მეტყვევების რაოდენობა, ზედამხედველობაში დასაქმებული იქნება 330 კაცი, აქედან 254 - ინსპექტორი. საშტატო რაოდენობები იზრდება ასევე სამინისტროს აპარატშიც.

აღნიშნული ცვლილებების განსახორციელებლად სამინისტროში მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც მოიცავს 47 კანონპროექტს. მართალია საკანონმდებლო პაკეტის მომზადება მოხდა საკმაოდ შემჭიდროვებულ ვადებში, თუმცა მაინც მოხერხდა დაინტერესებულ საზოგადოებასთან საჯარო განხილვების ორგანიზება. კანონპროექტების ტექსტი განთავსებული იყო ასევე სამინისტროს ვებ-გვერდზე. სამინისტროს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი დაამტკიცა მთავრობმა და ხელი მოაწერა პრეზიდენტმა. ტექნიკური მიზეზების გამო, პარლამენტში განხილვების დაწყებამდე, საკანონმდებლო პაკეტი გაიყო ორ ნაწილად. პირველ ეტაპზე ჩატარდა 43 კანონპროექტის განხილვა პარლამენტის 8 კომიტეტში. არასამთავრობო სექტორიდან, ასევე კომიტეტებში განხილვის დროს მიღებული შენიშვნებით შესწორებული კანონპროექტები პირველი მოსმენით განსახილველად გავიდა პარლამენტის სესიაზე, თუმცა ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო, პირველ სესიაზე ვერ მოხერხდა კენჭისყრა. მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, 28 თებერვლის რიგგარეშე სხდომაზე იგეგმება ამ კანონპროექტებზე კენჭისყრა. უკვე ჩატარდა დარჩენილი 4 კანონპროექტის მოსმენა თითქმის ყველა კომიტეტში, გარდა თავდაცვისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებისა. ამ კანონპროექტების პირველი მოსმენით განხილვის შემდეგ, საკანონმდებლო პაკეტი კვლავ გაერთიანდება და მოხდება მეორე მოსმენით მისი განხილვა გარემოს დაცვის კომიტეტში. სავარაუდოდ მარტის ბოლოსთვის იგეგმება კანონპროექტების მესამე მოსმენით განხილვა.

მინისტრის მოადგილის თქმით, საკანონმდებლო პაკეტის დამტკიცების შემდეგ გამოიცემა მთავრობის დადგენილება, რომელშიც დეტალურად გაიწერება, თუ როგორ გააგრძელებენ მუშაობას საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ვის რა ფუნქცია დაეკისრება. გარემოს დაცვის სამინისტროში შეიქნება 5 საჯარო სამართლის იურიდიულ პირი, კერძოდ დაცული ტერიტორიების სააგენტო, საბაზისო-სანერგე მეურნეობა, გარემოს ეროვნული სააგენტო, სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრი, რომლის დანიშნულება იქნება მოსახლეობაში გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელება, სასწავლო საქმიანობის განხორციელება, ტრენინგებისა და გადამზადების პროგრამების ორგანიზება. შეიქმნება ასევე ერთი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვის

ზედამხედველობის დეპარტამენტი, რომელიც შეითავსებს კონტროლის ფუნქციებს, როგორც გარემოს დაცვის საკითხებში, ასევე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მიმართულებით. იმისათვის, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს პოლიტიკის შემუშავების პროცესი და მმართველობითი საქმიანობა, სამინისტროს ფარგლებში შექიმნება კიდევ 2 სამსახური: ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზირების სამსახური და სატყეო და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის პოლიტიკის განმსაზღვრელი სამსახური. ეს სამსახურები განსაზღვრავენ საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ნორმებს, პრინციპებსა და სტანდარტებს, ხოლო სსიპ-ები დაკავებული იქნებიან პრაქტიკული საქმიანობით.

მინისტრის მოადგილის მოხსენების დასრულების შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას განსხვავებული მოსაზრება აქვს ბუნებრივი რესურსების გარემოს დაცვის სამინისტროში გადმოტანასთან დაკავშირებით. მართალია შემოთავაზებული ვარიანტი უფრო მისაღებია, ვიდრე ის რაც აქამდე მოქმედებდა, თუმცა ახალი ვარიანტის შემთხვევაშიც ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს. მისი თქმით, არ შეიძლება ერთი და იგივე უწყებამ ერთდროულად მართოს ბუნებრივი რესურსები და გასცეს ლიცენზიები. ფონდის წარმომადგენელი დაინტერესდა მოხსენებაში აღნიშნულის გარდა რა შინაარსობრივი სიახლეებს გამოიწვევს სამინისტროში გატარებული ცვლილებები.

მინისტრის მოადგილის თქმით, გარემოს დაცვის სამინისტროში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის დაბრუნება ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში გარემოს დაცვითი ელემენტი მეტად პრიორიტეტულია. სამინისტრო უზრუნველყოფს სფეროების ეფექტურ მართვას, დაცული იქნება საკმარისი ინსტიტუციური დისტანცია კონტროლს, მართვასა და პოლიტიკის შემუშავებას შორის, იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი. გარემოს დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა აღნიშნა, რომ სამინისტროსთვის ძალიან საინტერესოა სამოქალაქო საზოგადოების ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იყოს გადანაწილებული მართვის, ინსპექტირებისა და ლიცენზირების საკითხები. დეპარტამენტის უფროსის აზრით, დღეს მოქმედი მოდელი, რომლის მიხედვითაც გარემოს დაცვის სამინისტროს როგორც მომხმარებელს არ შეიძლება ჰქონდეს ინტერესი რესურსის მოპოვებაზე, საკმაოდ მისაღების მოდელია. აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს არ აქვს საინვესტიციო ინტერესი როგორც ეს ჰქონდათ მაგალითად ენერგეტიკისა და ეკონომიკის სამინისტროებს. რაც შეეხება შინაარსობრივ სიახლეებს, დეპარტამენტის უფროსის თქმით, სამინისტროსა და სსიპ-ების სახელების ცვლილების გარდა, სიახლეებია ისეთ სფეროებში, როგორც არის ნადირობის დაშვება, დაცულ ტერიტორიებზე ლიმიტირება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სხვა. აღმოფხვრილია ის მახინჯი პრაქტიკა, როცა მთავრობის დადგენილებებით ხდებოდა საკანონმდებლო საკითხების მართვა. არსებობდა წიაღის კანონი, რომელიც საერთოდ არ იყო გამოყენებაში. კანონი რეალურად ამოქმედდა და ლიცენზიებისა და ნებართვების მოქმედი სისტემის ადეკვატური გახდა. გადამუშავდა წყლის რესურსების მართვის არსებული კანონიც, თუმცა 2014 წლამდე მომზადდება ახალი კანონი, რომელიც მთლიანად გააუქმებს ძველს.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენელი დაინტერესდა იგეგმება თუ არა ტყეების რეგისტრაციის შედეგების გადახედვა. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ჰიდროელექტრო სადგურებთან დაკავშირებით დაიწყო ექსპერტების რეგისტრაცია და მათი რეესტრის შექმნა. გაკეთდა განცხადება, რომ საქართველოს კანონმდებლობით სამინისტროს ექნება საშუალება ითანამშრომლებს იმ ექსპერტებთან, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას. ორგანიზაციის წარმომადგენელი დაინტერესდა იგეგმება თუ არა ტყეების შემთხვევაში იგივეს გაკეთება. მინისტრის მოადგილის თქმით, წინასწარ არ ყოფილა განსაზღვრული სატყეო ექსპერტების რეესტრის შექმნა, თუმცა შესაძლებელია ამ წინადადების განხილვა. აღსანიშნავია ისიც, რომ სატყეო ექსპერტები ძალიან ცოტანი არიან და საჭიროა ახალ ექსპერტების აღზრდაზე ზრუნვა. ამ ეტაპზე არ იგეგმება ასევე ტყეების რეგისტრაციის გადახედვა, თუმცა სამომავლოდ სამინისტრო გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობას ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.

ასოციაციის "ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის" წარმომადგენელი დაინტერესდა განხორციელდება თუ არა ცვლილებები ბირთვული უსაფრთხოების ლიცენზირების მიმართულებით და იგეგმება თუ არა ქიმიური ნივთიერებების სამარხის გაკეთება. მინისტრის მოადგილის თქმით, რეგულაციებისა და ლიცენზირების კუთხით ჯერჯერობით ცვლილებები არ იგეგმება. რაც შეეხება ქიმიური ნივთიერებების სამარხს, ხორციელდება რამდენიმე პროექტი ამ მიმართულებით, მიმდინარეობს სასუქებისა და პესტიციდების ძველი სამარხების შესწავლა. თანაკოორდინატორის თქმით, ეს საკმარისად პრობლემური საკითხია და ჯგუფის წევრების დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია გაკეთდეს ცალკე შეხვედრა სამინისტროს წარმომადგენლებისა და პროექტების ხელმძღვანელების მონაწილეობით.

თანაკოორდინატორი დაინტერესდა თუ როდისთვის იქნება შესაძლებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურებისა და მათი დებულებების გაცნობა. მინისტრის მოადგილის თქმით, უკვე მიმდინარეობს მუშაობა დებულებებზე. დოკუმენტების სამუშაო ვერსიები მზად იქნება უახლოეს მომავალში. მზადდება ასევე საშტატო განრიგები და სამსახურეობრივი ინსტრუქციები.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენელი დაინტერესდა თუ რა შედეგით დამთავრდა ევროინტეგრაციის ფარგლებში გარემოს დაცვის სამინისტროსთან მიმდინარე მოლაპარაკებების სერია და რაზე შეთანხმდა სამინისტრო ევროკავშირთან გარემოს დაცვის მიმართულებით. საუბარია ასოციაციის შეთანხმებასა და ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ინფორმაცია ამ მოლაპარაკებების თაობაზე ღიად არ ვრცელდებოდა და შესაბამისად, დიდი ინტერესის მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ნაკლები იყო. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა აღნიშნა, რომ ის უშალოდ იყო ჩართული მოლაპარაკებების პროცესში. მისი ინფორმაციით, ხელშეკრულებების რატიფიცირება იგეგმება მიმდინარე წლის ბოლოსთვის. გარემოს დაცვის მიმართულებით საქართველომ აიღო ვალდებულება ხელშეკრულებების რატიფიკაციიდან 2-9 წლის ვადაში შეასრულოს ევროკავშირის დირექტივები. ვალდებულება აღებულია საუკეთესო

ხელმისაწვდომი გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დანერგვა-წარმოების მიმართულებით. შესაბამისად, სამინისტრო გეგმავს დარგობრივი მიმართულებების და საკანონმდებლო ბაზის დახვეწას. რაც შეეხება ხელშეკრულებების ტექსტს, ევროკავშირის მოთხოვნით ისინი დახურულია. თანაკოორდინატორის თქმით, კარგი იქნება თუ მესამე ჯგუფს სამუშაო ფორმატში ექნება შესაძლებლობა გაეცნოს იმ დირექტივებს, რომელსაც საქართველო უნდა მიუერთდეს გარემოს დაცვის მიმართულებით.

შეხვედრის მეორე ნაწილში თანაკოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ხუდონჰესის ხელშეკრულების განხილვის პროცესის შესახებ. მისი თქმით, განხილვაში ჩართულია 8 ორგანიზაცია. პროცესის საკმაოდ რთული და ხანგრძლივია. ამ ეტაპისთვის დასრულდა მხოლოდ შენიშვნების აღნიშვნა და მიმდინარე კვირის ბოლოს დაიწყება შენიშვნების მუხლობრივი განხილვა. თანაკოორდინატორის აზრით, ინვესტორთან განხილვებში მონაწილეობა უნდა მიიღოს მხოლოდ ენერგეტიკის სამინისტრომ და არა სამუშაო ჯგუფმა. ჯგუფმა უნდა მოამზადოს კონკრეტული წინადადებები ყველა მუხლზე; იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო გაიზიარებს ამ შენიშვნებს, მან უნდა წარადგინოს შენიშვნები უკვე ინვესტორთან და აწარმოოს მასთან მოლაპარაკება. თანაკოორდინატორის ინფორმაციით, გარემოს დაცვის სამინისტრომ მოიწვია საკმაოდ გამოცდილ ექსპერტთა კომისია ჰოლანდიიდან, რომელიც 6 კაციანი შემადგენლობით შეამოწმებს სამინისტროში შესულ გზმ ანგარიშს. მისი აზრით, კარგი იქნება თუ მარტის ბოლომდე ჯგუფის რიგგარეშე შეხვედრაზე მოწვეულ იქნება წარმომადგენელი ენერგეტიკის სამინისტროდან, რომელიც დამსწრეებს გააცნობს სამინისტროს სტრატეგიასა და გეგმებს, იმას თუ რას აპირებს სამინისტრო ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ დამატებით ინფორმაცია რიგგარეშე შეხვედრის შესახებ გავრცელდება ელექტრონულად.

ჯგუფის მეორე თანაკოორდინატორის თქმით, არ არსებობს ენერგეტიკული დასკვნა იმაზე, თუ რამდენად საჭიროა ხუდონის მშენებლობა და არის თუ არა ხუდონჰესი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გარანტი. საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ენერგეტიკოსისთვის საკმაოდ რთულია უარი თქვას ენერგეტიკულ ობიექტზე. უარისთვის ერთადერთი მყარი საფუძველი არის გზმ და დასკვნა იმაზე, რომ ენერგეტიკული ობიექტის აშენება საფრთხეს შეექმნის გარემოს. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის აზრით, მაშინ როცა სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული ენერგეტიკული პოლიტიკა, განადგურებულია ტექნიკური ბაზა როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე საპროექტო-საინჟინრო მიმართულებით, არ არსებობს სტანდარტები და სახელმწიფო ინსტიტუტები, ფაქტობრივად არ არიან სპეციალისტები, აბსურდია რაიმეს მშენებლობაზე საუბარი. პირველ რიგში აუცილებელია ჩამოყალიბდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა. მსჯელობის შედეგად დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში თანაკოორდინატორები ორგანიზებას გაუწევენ ენერგეტიკოსების შეკრებას და ზემოთ დასახელებულ საკითხებზე დისკუსიის გამართვას.

ამის შემდეგ დამსწრეებმა იმსჯელეს 14 მარტს, მაღალ კაშხლებთან ბრძოლის დღეს, დაგეგმილი კონფერენციაზე. კონფერენცია ჩატარდება მესამე სამუშაო ჯგუფის ინიციატივით და მას ორგანიზებას გაუწევს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა". ორგანიზაციის წარმომადგენელმა

დამსწრეებს გააცნო კონფერენციის დღის წესრიგის სამუშაო ვერსია. მისი თქმით, ღონისძიებაზე სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად მოწვეული იქნებიან იმ ადგილობრივი თემების წარმომადგენლები, სადაც მიმდინარეობს ჰესების მშენებლობა. სტუმრები დამსწრეებს გააცნობენ მათ თემებში არსებულ ვითარებას. მოხსენებების დასრულების შემდეგ გაიმართება დისკუსია. დამსწრეები შეთანხმდნენ წარმოდგენილ დღის წესრიგზე და გადაწყდა, რომ კონფერენციის სხვა საორგანიზაციო საკითხების განხილვა მოხდება ელექტრონულად.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის ინიციატივით წამოყენებული საკითხის სერიოზულობიდან გამომდინარე, დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების კოოპერაციის/პარტნიორობის პრობლემების განხილვა მოხდება შემდეგ შეხვედრაზე.

ორსაათნახევრიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია